<u>საგვარეულო კავშირის მიმართვა გვარიშვილებს.</u>

საქართველოსა და საზღვარგარეთ აბულაძეების გვარის კომპაქტურად დასახლებულ პუნქტებში შედგეს აბულაძეების საგვარეულო შტოს გენიალოგია ნიმუშის მიხედვით.

ასევე შეძლებისდაგვარად გაეცეს კითხვებს პასუხი:

1. მიახლოებით (თუ შესაძლებელია ზუსტად უჩვენეთ თარიღი) როდის დასახლდა თქვენი წინაპრები თქვენს სოფელში, დაბაში, ქალაქში.

2. რა იცით მათ შესახებ, საიდან გადმოვიდნენ და რომელ შტოს გამოეყვნენ ან რომელ შტოს გაგრძელებად ითვლება.

3. რა იცით თქვენი გვარის აბულაძის შესახებ. თუ რა საფუძველზე, წარმოიშვა გვარსახელი აბულაძე, სად არის მისი პირველი წარმოშობის კერა, როგორი განვითარების გზა განვლო. თქვენი ვერსიები ზეპირსიტყვიერების, ლეგენდის სახით.

4. ხომ არ მოგეპოვებათ რაიმე ისტორიული წყარო, სადაც იქნება ასახული რომელიმე ეპიზოდი, რომელიც მიუთითებს აბულაძეების გვარის წარმომადგენლის როლსა და ღვაწლზე.

5. გთხოვთ მოგვაწოდოთ ინფორმაცია თქვენი შტოს ცნობილ ღვაწლმოსილ პიროვნებებზე მათი მოღვაწეობის სხვადასხვა სფეროში ეს იქნება კულტურის, სპორტისა და ასე ა.შ. (ფოტო სურათებით)

6. გთხოვთ მოგვაწოდოთ თქვენი შტოს ინტელიგენციის სია, როგორც წარსულში ასევე დღეისათვის.

-პიროვნებების შესახებ ვინც არის მოძღვარი, აღმსარებლობის მიუხედავად ღვთისა და ერის სამსახურში.

-სამამულო ომში მონაწილე პიროვნებების შესახებ.

-ხელისუფლებისა და უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოებში მომუშავე პიროვნებების შესახებ

გვარი, სახელი, მამის სახელი, სპეციალობა, დაბადების წელი (წარსულში, მიახლოებით მაინც) საცხოვრებელი ადგილი ქალაქი, სოფელი.

7. წერილობითი ინფორმაცია უნდა იყოს შესრულებული ნაბეჭდი ფორმით.

შენიშვნა: ინფორმაცია მიწოდებული იქნას საგვარეულო კავშირში.

ელ. ფოსტა: info@abuladzeebi.ge